ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3690504

ნომერი: AR1544936

თარიღი : 28.09.2017

გაცემის თარიღი : 17.11.2017

გაცნობის თარიღი : 17.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 37ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მალხაზ ჩემია პ/ნ 01008007466
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 24 ბ. 15

ორგანიზაცია:
- კაზა ბაგები კოდი: 205229670

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: ი/ბ ამხანაგობა „კაზა-ბაგები“
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მალხაზ ჩემია
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008007466

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 01/1184

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 29.08.2008

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა ხელახლა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 28 სექტემბრის AR1544936 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
1. თქვენ მიერ წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან და აეროგადაღებიდან დგინდება, რომ საპროექტო არეალში მდებარეობს ხე-ნარგავები (მათ შორის მომიჯნავე მიწის ნაკვეთ(ებ)ზე). აქედან გამომდინარე, საჭიროა, ზემოაღნიშნული ასახულ იქნეს ტოპოგრაფიულ გეგმაზე და დაცულ იქნას მათსა და საპროექტო შენობას შორის 1 მეტრიანი დაშორების არეალ(ებ)ი (მათ შორის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე ხე-ნარგავებიდან); ან/და მათი მოჭრა/გადარგვის შემთხვევაში, წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი თანხმობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან აღნიშნულთან დაკავშირებით; დამატებით წარმოსადგენია ტოპოგრაფიული გეგმა (მ1:500), შესრულებული უფლებამოსილი პირის მიერ მისივე საპროექტო ორგანიზაციის სატიტულო შტამპიან ფურცელზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების, ხე-ნარგავების ჩვენებითა და შესაბამისი პირობითი ნიშნების დატანით) და ამ ტოპოგრაფიულ გეგმასთან ერთად უნდა იქნას ატვირთული თქვენ მიერ დამუშავებული გენ–გეგმაც. გენ-გეგმაზე მონიშნეთ შესაბამისად მოსაჭრელი/ გადასარგავი ხე-ნარგავები.
2. ვინაიდან მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება დამკვეთს გააჩნია მშენებლობის ნებართვის გაცემისას.საჭიროა წარმოდგენილ იქნეს განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გადახდის ქვითარი.
ამასთან გაცნობებთ შემდეგს: “ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 სეკუნდა მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს, ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას უფლება აქვს, შენობა-ნაგებობის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და მისი იერსახის გაუმჯობესების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელთან, რომელსაც 2017 წლის 1 ივნისის მდგომარეობით აქვს მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, მოსაკრებლის გადამხდელის წერილობითი განცხადების საფუძველზე დადოს შეთანხმება მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გაზრდისას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდის განაწილვადების თაობაზე. თუ გსურთ აღნიშნულით სარგებლობა საჭიროა პირველ რიგში საკითხი დააყენოთ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის განწილვადებაზე;

3. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ი.ბ.ა „კაზა-ბაგები“-ს სადამფუძნებლო დოკუმენტი (16.11.2007 წლის #1-16984 დაფუძნების ხელშეკრულება არსებობის შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანის შესახებ ყველა დოკუმენტაცია) და საჭიროების შემთხვევაში სადამფუძნებლო დოკუმენტის შესაბამისად შედგენილი შესაბამისი თანხმობა.

4. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის თანხმობა.

5. საჭიროა წარმოდგენილი იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 06.01.2016 წლის 2/6873-14 სააღსრულებო ფურცელი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.